ქართული უნივერსიტეტის 9 წლის თავი

საუბარი ამხ. დ. კანდელაკთან

ეუშინ შესრულდა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის ცხრა წლის თავი. ამ სემოხვევის გამო ჩვენი გაზეთის თანამშრომელს საუბარი ჰქონდა გამოცდების სახალხო კომისარ ამხ. დ. კანდელაკთან, რომელიც ამჟამად უშუალოდ ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის მუშაობას.

საქართველოს უნივერსიტეტის არსებობის ცხრა წლის თავის თარიღი, განაცხადა ამხ. კანდელაკმა,—მით უფრო აღსანიშნავია, რომ იგი უფარდდება ხეორიულ იმ დროს, როცა სრულდება სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის ერთი წლის თავი.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ერთი წლის გამოცდილებამ და უნივერსიტეტში წარმოებულმა მუშაობამ საკმაოდ გაამართლა ის იმედები, რომელსაც მოელოდა განათლების სახალხო კომისარიატი და აგრეთვე სამეცნიერო მუშაკების მთელი რიგი ამ რეფორმისაგან. რეფორმის გატარების პირველ ხანებშივე უნივერსიტეტის სამეცნიერო ძალებს და ხელმძღვანელებს შორის შეიქმნა ამხანაგური და მეგობრული განწყობილება, რაც ასე აუცილებელია ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობისა და თანამშრომლობისათვის. თანაგრძნობით შეხვდა ამ რეფორმას უნივერსიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობაც. აშკარაა, ახლად შექმნილმა პირობებმა ხელი შეუწყვეს იმ გეგმების წარმატებით განხორციელებას, რომელსაც უნივერსიტეტის რეორგანიზაცია ისახავდა.

გადახალისებული უნივერსიტეტის მუშაობის პირველ რიგში იდგა საკითხი სამოსწავლო გეგმების დამუშავების შესახებ ყველა ფაკულტეტებისათვის. მუშაობა ამ მიმართულებით დაიწყო წარმატებით და ჩვენ უკვე გვაქვს მისი პირველი შედეგები. ყოველი ფაკულტეტის სამოსწავლო გეგმა შეთანხმებულია სრული სისწორით ჩვენი ცხოვრების პრაქტიკულ საჭიროებასთან, ე. ი. ჩვენი უნივერსიტეტის სხვადასხვა დარგები ამზადებენ არა ფართე ენციკლოპედიური ცოდნით აღჭურვილს, არამედ ვიწრო სპეციალობის მუშაკებს, რომელთა გამოყენება შეიძლება ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში. სამოსწავლო გეგმის ასეთი სახიათის გამო ჩვენი ფაკულტეტების აკადემიური მუშაობა მჭიდროდ უკავშირდება ჩვენი სახალხო კომისარიატების ყოველდღიურ საქმიანობას, (აგრონომიული ფაკულტეტის,—მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს, საეკონომ ფაკულტეტის—ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს, საინჟენერო დარგის,—ს. მ. უ. ს., პედაგოგიური ფაკულტეტი—განათლების სახ. კომისარიატს და სხვა). ამ გარემოებას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს. —ერთი მხრით მოსწავლე ახალგაზრდობა ამ უწყებათა ორგანოებში მუშაობით იძენს პრაქტიკულ გამოცდილებას და ეჩვევა თავის ცოდნის გამოყენებას, და მეორე მხრით, დაინტერესებულ კომისარიატებს — საშუალება ეძლევათ ცხოვრების მიერ წარმოშობილ საჭიროების მიხედვით წარმართონ უნივერსიტეტის აკადემიური მუშაობა.

მიმდინარე სამოსწავლო წლის ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა აგრეთვე საველმძღვანელოების გამოცემა ქართულ ენაზე უნივერსიტეტის ახალგაზრდობისათვის, რომლის უმრავლესობას, სამწუხაროდ რუსული, ან რომელიმე უცხო ენა არ ესმის იმდენად, რომ პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად მიიღოს თეორიული ცოდნაც. ეს ამოცანაც რეფორმის წლის თავზე რამოდენიმედ გადაწყვეტილია და ამჟამად უკვე დასაბეჭდად არის მიცემული 10 სახელწოდების სახელმძღვანელო. გარდა ამისა, თვით უნივერსიტეტს ყოველთვიურად ეძლევა 1.000 მანეთი სამეცნიერო ნაშრომების და წიგნების გამოსაცემად.

ჩატარებული რეფორმა მიზნათ ისახავს ჩვენი ქვეყნის სასეურნეო და კულტურული მშენებლობისათვის არა მარტო სპეციალისტ მუშაკების მომზადებას, არამედ პოლიტიკურად შეგნებული საზოგადოებრივი მოღვაწეების აღზრდასაც. ამიტომ სამოსწავლო წლის პირველ სემესტრიდანვე ყველა დარგებზე შემოღებულ იქნა პოლიტიკური საგნების მინიმუმი.

შედარებით გაუჭაობესა სტუდენტობის ნივთიერი მდგომარეობაც. შარშან არსებული სტიპენდიების ჩვენ წელს მოუმატეთ კიდევ ასი სტიპენდია. ცხადია, ეს ვერ აკმაყოფილებს სტუდენტთა დიდ ნაწილს, მაგრამ ეს მაინც საგრძნობი ნაბიჯია წინ.

მაცდინობის მხრივ სტუდენტობაში მოხდა დიდი ცვლილებები. მათ შორის განმტკიცდა დისციპლინა, შრომის მოყვარეობა, გულმოდგინეობა, აიწია მაცდინობის უნარიანობამ შრომის ნაყოფიერებამ და წარმატების დონემ.

სათანადო ყურადღება ჰქონდა მიქცეული სამეცნიერო მუშაკების მზადებას ახალგაზრდობიდან. ამ მიზნით უნივერსიტეტი კურსდამთავრებულნი იგზავნებიან რუსეთის და უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულებებში. ეს ახალგაზრდობა უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი დაუბრუნდება ჩვენს უნივერსიტეტს სამეცნიერო მუშაობის განსაგრძნობლად.

ასეთია ჩვენი უნივერსიტეტის მუშაობის შედეგები მეცხრე წლის განმავლობაში. ეს ნაყოფიერი მუშაობა იძლევა გვაძლევს, რომ ჩვენი უნივერსიტეტი, მისი არსებობის მეათე წლის თავზე შესძლებს ყველა დაბრკოლებათა გადალახავს, და გახდება ეროვნული კულტურის ნამდვილ კერად,—რასაკვირველია, ამ სიტყვის მარქსისტული მნიშვნელობით. ამის თავდებია ის ერთსულოვანი მუშაობა, რომელსაც ეწევიან ხელმძღვანელი ორგანოები, პროფესურა და პროლეტარული სტუდენტობა.

საუბარი პროფ. კორნელი კეკელიძესთან

სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის მეცხრე წლის თავზე პროფ. **კორნელი კეკელიძემ** მის შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელს შემდეგი განუცხადა:

მთავარი ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში არის ის, რომ უნივერსიტეტის ცხოვრება აგებულ იქმნა ახალ პრინციპზე ახალი წესდების თანახმად.

ამ პრინციპის მიხედვით მოხდენილ ცვლილებების დედა - აზრი ის არის, რომ სკოლა დაუახლოვდა პრაქტიკულ ცხოვრებას, ყოველდღიურ საქმიანობას. მომდინარე მზენებლობას. თუ წინად ჩვენი უნივერსიტეტიდან გამოდიოდა დიდი ძალი ახალგაზრდობა, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში საქმიან აკადემიურ ღონისდებინ მოუხედავად, პრაქტიკულ მუშაობას ნაკლებად შეჩვეულნი იყვნენ, ეხლა უნივერსიტეტი ჩვენი მეურნეობის ყველა დარგებისათვის ამზადებს გამოსადეგ პრაქტიკულ მუშაკებს. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ წელს უნივერსიტეტის სათანადო უფაკულტეტები დაუახლოვდენ დაინტერესებულ უწყებებს. ეს ღონისძიება ამ ცხრა წლის განმავლობაში წელს პირველად იქნა გატარებული და, უნდა ითქვას, რომ მან თვალსაჩინო ნაყოფიც განოიღო.

სამოსწავლო წლის დაწყებიდან სახალხო კომისარიატები და მათი ორგანოები ღებულობენ მონაწილეობას სათანადო ფაკულტეტების პროგრამების და გეგმების დამუშავებაში და წინასწარ იძლევიან დაკვეთას, თუ რა დარგისათვის რამდენი სპეციალისტი უნდა მომზადდეს. ამ გზით ჩვენი სტუდენტობის უმრავლესობას გარანტია ეძლევა, რომ ისინი სწორის დამთავრებისთანავე პრაქტიკულ მუშაობაში იქნებიან ჩაბმული და, არ იქნებათ იმის შიში, რომ მათ. შრომა გამოუყენებელი დარჩება.

რეფორმის ჩატარების დროს სათანადო ყურადღება მიექცა აგრეთვე იმასაც, რომ მოსწავლემ ვიწრო სპეციალობასთან ერთად მიიღოს საერთო განათლება, საერთო ხასიათის მომზადება, ყოველ ფაკულტეტზე შემოღებულია პოლიტმინიმუმი იმ მიზნით, რომ კურს დამთავრებულმა სპეციალისტებმა ვიწრო პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად შესძლოს საზოგადო მოღვაწეობაც, რაც აუცილებელია ყოველი კულტურული ადამიანისათვის.

რაც შეეხება მუშაობის ატმოსფერას უნივერსიტეტში, უნდა ითქვას, რომ პროფესურა ერთსულოვნად მუშაობს. იმ ახალ ელემენტებთან, რომლნიც რეორგანიზაციის დროს უნივერსიტეტში სამუშაოდ იქნენ მიწვეულნი, სრული ჰარმონია არის დამყარებული, და მათ დახმარებით შექმნილია მკვიდრი ნიადაგი ნორმალური მუშაობისათვის. ამას ემატება ისიც, რომ სტუდენტობის აქტივობა გაიზარდა: იგი აქტიური, მონაწილეობას ღებულობს უნივერსიტეტთან არსებულ საგნობრივ კომისიების მუშაობაში; ყოველგვარ პროგრამებისა და გეგმების დაუშავება ხდება სტუდენტთა უშუალო მონაწილეობით.

საერთოდ, — სახალხო განათლების კომისარიატის და საბჭოთა მთავრობის ნაზრუნველობით ჩვენი უნივერსიტეტის მუშაობა მიდის იმ მიმართულებით, რომ მან, რაც შეიძლება, უკეთ შესძლოს იმ მიზნების მიღწევა, რომელთაც უსახავს მას ჩვენი ერის კულტურის წინმსვლელობა და კეთილდღეობა.

რასაკვირველია, უნივერსიტეტში ჯერ კიდევ ხდება მრავალი დაბრკოლებები, მაგრამ ეს ბუნებრივია. ეკონომიურად დაწინაურებულ ქვეყნებშიაც კი უნივერსიტეტები საუკუნეობით იქმნებიან და, რა გასაკვირალია, თუ ჩვენი უნივერსიტეტი ცხრა წლის განმავლობაში ვერ არის ყოველმხრივ და სავსებით უზრუნველყოფილი.

ჩვენი ლაბორატორიები ჯერ კიდევ ვერ არიან იმდენად მოწყობილნი, რომ დაკმაყოფილონ სავსებით ჩვენი საჭიროებანი. მწვავედ დგას აგრეთვე საკითხი სამეცნიერო გამომცემლობის შესახებ. სტუდენტების უმრავლესმა ნაწილმა არ იცის რუსული, ან რომელიმე უცხო ენა, რომ შეეძლოს ამ ენაზე არსებული ლიტერატურის ცოდნის შეძენა, ხოლო ქართულ ენაზე არსებობს დაახლოვებით ხუთი პროცენტი იმ ლიტერატურის, რაც ჩვენს სტუდენტებთან ესაბირება. მაგრამ უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებითაც გაცხოველდა მუშაობა და, იმედი ვქონდა ვიქონიოთ, რომ უახლოეს წლებისათვის მუშაობის ეს შეუფერხებელი მოვლენებიც ადვილად იქნება დაძლეული.